

სლენგი და მისი გადმოცემის პრობლემა

(გერმანულენოვანი The Catcher in the Rye-ის ბია ჭუმბურიძისგან თარგმანის მიხედვით)

SLANG AND THE CHALLENGES OF TRANSLATING SLANG

(The Catcher in the Rye by J. D. Salinger, Translated into Georgian by Gia Chumburidze)

ნინო ცომაია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი**Nino Tsomaia** Ivane Javakhishvili Tbilisi State University<https://orcid.org/0009-0000-1694-8494>**საკვანძო სიტყვები:** სლენგი, სლენგის თარგმანი, ლექსიკა**Keywords:** slang, slang translation, vocabulary

ABSTRACT

Slang is one of the most intriguing and complex aspects of language. Its emergence is closely tied to historical, social, and cultural trends. Slang is widely used in fiction, where it often serves to highlight the creative qualities of a character and add a comedic element to a situation due to its national, linguistic, and social nuances. This topic is particularly relevant because slang has received limited attention in translation theory. Its function goes beyond merely conveying meaning from one language to another; it also encapsulates cultural concepts. Since ancient times, translation has served as a means of interlanguage and intercultural communication. Translators face the challenge of finding the most accurate and appropriate ways to translate slang, a goal that can be achieved through various techniques, such as compensation, clarification, antonymic translation, and substitution. In our study, we focused on *The Catcher in the Rye* by J.D. Salinger, as this novel presents a fresh perspective on the translation of slang. The paper is based on empirical and descriptive research, employing comparative analysis between the original text and its Georgian translation. English lexical items were compared with their Georgian equivalents to explore how slang is rendered in translation. The primary objective of the study is to identify slang in *The Catcher in the Rye* and analyze the translation methods used to render these words in Georgian. Through comparative analysis, we aim to reveal the strategies employed by translators when handling slang. The research methodology is interdisciplinary, reflecting one

of the key paradigmatic trends in modern humanities. In our research, it is essential to combine insights from linguistics and literary studies. On one hand, we analyze a text from a linguistic perspective, and on the other hand, we consider it as a literary work, requiring a literary analysis. The language in *The Catcher in the Rye* reflects the sociolect of the protagonist, Holden Caulfield. Holden is a rebellious teenager with uncompromising views on many subjects, and his language is filled with slang and jargon. This approach allows the author to immerse readers in Holden's world and accurately reflect the reality in which teenagers live, think, and speak. Youth slang is a dynamic and constantly evolving system, making it particularly challenging for translators. The vocabulary of any language mirrors the world around us, and the language of modern prose reflects trends in the speech of young people. Characters in fiction often use slang and jargon to enhance the emotional tone of their speech, making it more expressive and relatable. In our research, we found that vulgarisms are often translated using softening methods, though examples of synonymic translation were also observed. To enhance the artistic effect, translators have created phraseological units typical of colloquial speech, and methods such as equivalent and antonymic translation are frequently used to capture the essence of these phrases. Ultimately, the study has shown that translation is a form of linguistic mediation. The translated text must be communicatively equivalent to the original, effectively replacing it while maintaining the original's meaning and intent.

შესავალი

ეპოქის ცვალებადობასთან ერთად იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება. ენა ცოცხალი ორგანიზმია და, რა თქმა უნდა, ეს ცვლილებები ენასაც შეეხება. განსაკუთრებით იცვლება მისი ლექსიკა. „ლექსიკა ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია ენისა. იგი ფუხდაფუხ მისდევს ცხოვრებას, განუწყვეტლივ ივსება ახალი მასალით, საგამოთქმო ერთეულებით, რომლებიც ხალხის, საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას ასახავენ. ყოველ ენას, მათ შორის ქართულსაც, მოეპოვება ლექსიკის გამდიდრების საკუთარი საშუალებები. ძირითადი საშუალებანია: სიტყვათწარმოება, დიალექტური მეტყველება და სესხება. ქართული ენა ლექსიკის გამდიდრების ამ სამივე შესაძლებლობას დასაბამიდან იყენებდა და იყენებს დღესაც“ (ლონტი, 1988 :5).

ენობრივი კონტაქტები ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზეცაა დამყარებული. თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ქართულ ენაში განუკითხავად იყენებდნენ რუსიციზმებს. თანამედროვე ქართულ ენაში კი – ანგლიციზმების სიუხვე შეიმჩნევა. თუ ადრე რუსიციზმების სიმრავლეს სახელმწიფოთა (საქართველო-რუსეთის) პოლიტიკური კონტექსტი განაპირობებდა (საქართველო ჯერ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, მოგვიანებით კი საბჭოთა კავშირში), ანგლიციზმების დამკვიდრებას დღეს პოლიტიკურთან ერთად სახელმწიფოს ეკონომიკური დამოკიდებულება და ტექნიკური ევოლუცია განაპირობებს. ამერიკული გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა ახალგაზრდების მეტყველებაში, რადგან ისინი ადვილად ითვისებენ ენას, ჩვევებს, ამერიკული კულტურის ელემენტები მათთვის მოდურობასა და თანამედროვეობასთან ასოცირდება.

ახალგაზრდების ენა არის სოციოლინგვისტური კვლევის საგანი, რადგანაც ის განიხილება, ლინგვისტური ცვლილების შესახებ ცოდნის ახალ წყაროდ. ახალგაზრდების ენა წარმოადგენს ახალ სოციოლექსს და სხვადასხვა ახალგაზრდული ჯგუფის ენას, რომელიც თავისი სტრუქტურული სტილითა და სიტყვათა მარაგით განსხვავდება სალიტერატურო ენისგან.

სლენგი საკმაოდ გავრცელებულია მხატვრულ ლიტერატურაში. მას აქვს მკაფიო ეროვნული, ენობრივი და სოციალური სპეციფიკა და ამიტომ ყველაზე ხშირად გამოიყენება პერსონაჟის შემოქმედებითი მახასიათებლების, სიტუაციისათვის კომიკური ელფერის მისაცემად. ახალგაზრდების ცხოვრების შესახებ მრავალ თანამედროვე რომანში სლენგი მნიშვნელოვან სტილისტურ როლს ასრულებს.

სლენგი დღეს ნაკლებად შესწავლილია თარგმანის თეორიის კონტექსტში. მთარგმნელის ამოცანაა ავტორის ინდივიდუალური სტილის შენარჩუნება. მისი ფუნქცია არ არის მხოლოდ უცხოენოვანი

ტექსტის მნიშვნელობის მიწოდება ადრესატამდე, მან ასევე უნდა გადასცეს კულტურის კონცეფცია. უძველესი დროიდან თარგმანი ასრულებდა ინტერლინგვური და კულტურათშორისი კომუნიკაციის ფუნქციას. სლენგის თარგმნისას მთარგმნელის წინაშე დგას ყველაზე ზუსტი და ადეკვატური თარგმანის საკითხი. ეს მიზანი მიიღწევა სხვადასხვა საშუალებით: კომპენსაცია, დაბუსტება, ანტონიმური თარგმანი, ეკვივალენტური ლექსიკის ჩანაცვლების მეთოდი და ა.შ.

თავი პირველი

ჯერომ სელინჯერის ბიოგრაფიული ცნობები და მისი რომანის სიუჟეტურ-კონცეპტუალური განხილვა

ჯერომ დევიდ სელინჯერი 1919 წელს დაიბადა ნიუ-იორკში ებრაელი მამისა და ირლანდიელი კათოლიკე დედის ოჯახში. 1936 წელს ჯერომ სელინჯერმა სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა პენსილვანიის შტატში, ამ პერიოდშივე შექმნა თავისი პირველი მოთხრობები. 1937 წელს ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ლექციებს ესწრებოდა, როგორც თავისუფალი მსმენელი. 1939 წელს კი კოლუმბიის უნივერსიტეტში ჩააბარა. მეორე მსოფლიო იმის დროს ჯარში გაიწვიეს. დაამთავრა საოფიცრე-სერჟანტული სკოლა და ერთ წელიწადში სერჟანტის რანგში კონტრდაზვერვაში გადაიყვანეს. 1944 წელს სერჟანტი ჯერომ სელინჯერი ნორმანდიაში დესანტის გადასხმაში მონაწილეობდა, მუშაობდა სამხედრო ტყვეებთან და მონაწილეობას იღებდა საკონცენტრაციო ბანაკების გათავისუფლებაში.

ჯერომ სელინჯერმა სამწერლო კარიერა „New Yorker“ ჟურნალებში მოთხრობების გამოქვეყნებით დაიწყო. მისი პირველი მოთხრობა „ახალგაზრდა ადამიანები“ ჟურნალ „Story“-ში 1940 წელს დაიბეჭდა. ამავე ჟურნალის რედაქტორი უიტ ბერნეტი იყო ის ადამიანი, ვინც ჯერომ სელინჯერში მწერლობის ნიჭი დაინახა. პირველი სერიოზული პოპულარობა მოუტანა მოთხრობამ „ბანანათევზას ამინდი“.

ჯერომ სელინჯერმა 1951 წელს გამოაქვეყნა თავისი ერთადერთი რომანი „კლდის პირზე ქვავის ყანაში“. რომანი, დეპრესიულობისა და უხამსი ლექსიკის გამო, ამერიკის რამდენიმე შტატსა და ქვეყანაში აიკრძალა. როგორც ცნობილია, ჯერომ სელინჯერს 1965 წლიდან მოყოლებული არაფერი დაუბეჭდავს. 2013 წელს დევიდ შილდისა და შეინ სალერნოს თანაავტორობით გამოქვეყნდა ბიოგრაფიული წიგნი „სელინჯერი“, რომელშიც წერია მწერლის მითითებები, თუ რა თანმიმდევრობით უნდა გამოქვეყნებულიყო მისი ნაწარმოებები. გამოცემიდან რამდენიმე წელში, 1960-იანებში „თამაში ქვავის ყანაში“ ქართველმა მთარგმნელმა, ვახტანგ ჭელიძემ თარგმნა. სელინჯერის რომანი მეორედ ითარგმნა გიორგი ჭუმბურიძის მიერ განსხვავებული სათაურით - „კლდის პირზე, ქვავის ყანაში“.

ჯერომ სელინჯერი რომანზე - „კლდის პირზე, ქვავის ყანაში“ დახლოებით ათი წლის განმავლობაში მუშაობდა. რომანის მთავარი პერსონაჟი, ჰოლდენ კოლფილდი, პირველად გამოჩნდა მოთხრობაში „I'm crazy“, რომელიც ჟურნალ „Collier's“-ში 1945 წელს გამოქვეყნდა. ბევრი პარალელი არსებობს ჰოლდენ კოლფილდსა და ჯერომ სელინჯერს შორის: ორივე გაიზარდა ნიუ-იორკში, ორივე გარიცხეს სკოლიდან და ა.შ. ჯერომ სელინჯერის მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის გავლენა იგრძნობა ჰოლდენ კოლფილდის პერსონაზე.

ჯერომ სელინჯერის რომანში მოვლენები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ვითარდება, როდესაც მოზარდები გადაურჩნენ დიდ დეპრესიასა და ომის მრავალ საშინელებას. რომანი ასახავს იმ თაობის განწყობას, რომელიც ებრძვის ომის შედეგებს.

ნაწარმოების მთავარი გმირი და ამბის მოთხრობელი, 16 წლის ჰოლდენ კოლფილდი, თავის ისტორიას იწყებს პენსილვანიის შტატის ერთ-ერთი პრივილეგირებული პენსის სკოლიდან გარიცხვით. ჰოლდენ კოლფილდი ტოვებს პენსის და ბრუნდება ნიუ-იორკში, თუმცა სახლში წასვლის ნაცვლად რამდენიმე დღეს სასტუმროში რჩება.

მთელი რომანის განმავლობაში ჰოლდენ კოლფილდი გვიყვება სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობის შესახებ, იქნება ეს უარდ სტრადლეიტერი, ჯეინ გელუხერი, სალი ჰეიესი და სხვები.

სიუჟეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ჰოლდენ კოლფილდის შეხვედრა უმცროს დასთან, ფიბისთან, რომელსაც აღმერთებს და ყველაზე კარგად მას ესმის მისი. ის სევდით უყურებს ბავშვებს, რადგან ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ არაფერი იციან იმ საფრთხეებზე, რაც საზოგადოებაში ემუქრებათ.

ჰოლდენ კოლფილდის სურვილიც სწორედ ბავშვებთანაა დაკავშირებული, იდგეს უფსკრულის პირას და უყუროს ბავშვებს, რომლებიც თამაშობენ ქვავის ყანაში. ხოლო, როცა მათ გადავარდნის საფრთხე დაემუქრებათ, გადაარჩინოს ისინი.

„სელინჯერი ამ რომანზე მუშაობდა ამერიკელი ინტელიგენციისათვის მეტად არასასიამოვნო დროს, როდესაც რეაქციის ძალები გააფთრებით უტევდნენ პროგრესულს. საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, სტუდენტები იძულებულნი იყვნენ შერიგებოდნენ საკუთარი სისუსტის შეგრძნებას. ეს წლები ამერიკულ ლიტერატურაში ცნობილია „გაყუჩებული“ ორმოციანი და „შეშინებული“ ორმოცდაათიანი წლების სახელით. გაჩნდა ისეთი ლიტერატურა, რომელიც კაპიტალისტურ „სამოთხეს“ უმღეროდა და მკითხველს სასიამოვნო ილუზიას უქმნიდა გარემომცველ საზოგადოებაზე. სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნდა სელინჯერის „თამაში ქვავის ყანაში“ - პროტესტის გამომხატველი რომანი, რომელიც უარყოფდა მოჩვენებით სიმშვიდეს და ფარდას ხდიდა საზოგადოებაში გამეფებულ მანკიერებას“ (ხვითარია, 1970:64).

რომანს საკმაოდ ბევრი გამოხმაურება ჰქონდა. ჰოლდენ კოლფილდმა, როგორც პერსონაჟმა, ბევრ კრიტიკოსზე მოახდინა შთაბეჭდილება. „ეს არის ახალი ჟანრის თანამედროვე კლასიკა. მთავარი გმირი, 17 წლის ჰოლდენ კოლფილდი, აბსოლუტურად დამაინტრიგებელია“ (<https://www.theguardian.com/books/2012/jun/21/review-salinger-catcher-rye>). „New York Times“-ის კრიტიკოსი Nash K. Burger-ი წიგნს აფასებდა, როგორც „უჩვეულო ბრწყინვალე რომანს“ (<https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/books/98/09/13/specials/salinger-rye02.html>). ამის საპირისპიროდ, T. Morris Longtreth-ი „Christian Science Monitor“-ში ჰოლდენ კოლფილდზე დაწერა „საბედნიეროდ, ის ჯერ კიდევ ბევრი ვერ იქნება. მაგრამ შიშობს, რომ მსგავსი წიგნების ტირაჟირებამ, შესაძლოა, გაამრავლოს მისი სახეობა - როგორც ხდება ხოლმე, როდესაც უზნეობასა და გარყვნილებას ნიჭიერი მწერლები ყვებიან“ (<http://www.ueji.ne.jp/jd/reviews/monitor.html>).

ჯერომ სელინჯერი თავის რომანში „კლდის პირზე, ქვავის ყანაში“ ასახავს მთავარი გმირის - ჰოლდენ კოლფილდის სოციოლექტს, რომელიც მეამბოხე თინეიჯერია და რომელსაც აქვს უკომპრომისო შეხედულებები უამრავ საკითხთან დაკავშირებით. „სელინჯერის სურვილია, ადამიანში სულიერი სისპეტაკე გადაარჩინოს. ეს სურვილი იმდენად მძაფრია, რომ თავისი სიღრმითა და სიძლიერით რელიგიურ გრძნობასაც კი ჰგავს. მართალია, სელინჯერის ლიტერატურული გმირი, ჰოლდენი, თვითონვეა გაორებული და დაბნეული, მაგრამ ის გულწრფელია და სწორედ ამ საოცარი გულწრფელობით იპყრობს ადამიანთა გულებს. გულწრფელი გახლდათ სელინჯერიც, როდესაც 1953 წელს მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ ეს რომანი ავტობიოგრაფიული ხასიათის იყო. „ჩემი სიყმანვილე ძალიან ჰგავდა იმ ბიჭისას, წიგნში რომაა... და ძალიან დიდი შვება ვიგრძნე, როცა ხალხს მის შესახებ მოუყევი““ (გაბუნია, 2014:168). რომანში მთავარი გმირის მეტყველება სავსეა ჟარგონული სიტყვებითა და გამონათქვამებით. ამით ავტორი აახლოებს ახალგაზრდა მკითხველს ჰოლდენ კოლფილდის სამყაროსთან, აცოცხლებს იმ სინამდვილეს, რომელშიც მოქმედებენ, ფიქრობენ, საუბრობენ თინეიჯერები რეალურად.

თავი მეორე

სლენგი, როგორც სოციოკულტურული ფენომენი და თანამედროვე ლიტერატურაში მისი ფუნქციის დახასიათება

ახალგაზრდული სლენგი არის მობილური სისტემა, რომელიც ექვემდებარება მუდმივ ცვალებადობას. ის აქტიურად ურთიერთობს სხვადასხვა სოციალური ფენებისა და ჯგუფის ჟარგონებთან, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში გავლენას ახდენენ ახალგაზრდებზე. ეს ყველაფერი

ახალგაზრდულ სლენგს ხდის უკიდურესად სპეციფიკურს და სირთულეებს უქმნის მთარგმნელებს.

მთავარი გმირის, ჰოლდენ კოლფილდის, ენა არამხოლოდ არაფორმალურია, არამედ საკმაოდ ღარიბია და მიდრეკილია ერთი და იმავე სიტყვების გამეორებით. მაგ. სიტყვა “phony” რომანში 35-ჯერ მეორდება.

სიტყვა “Phony” ძირითადად გამოიყენება ამერიკულ ინგლისურში, ხოლო მისი მართლწერის ვარიანტი Phoney კი - ბრიტანულში. ოქსფორდის სლენგის ლექსიკონში დასტურდება ორივე ფორმა: Phoney, phony - (1902) From the adjective phoney. This simple test—a way of telling the phonies from the truly committed. (1977) (ODS, 1999:425).

ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში სიტყვა Phony განმარტებულია: როგორც სალ. ყალბისმქნელობა, ყალბის გაკეთება, ნაყალბევი; გაიძვერა, თაღლითი, ა. ყალბი; გაიძვერული, თაღლითური; გაბერილი (აქციები) (იქლ, 2003:667).

ჰოლდენ კოლფილდი სიტყვა phony-ის იყენებს მის გარშემო არსებული საზოგადოების აღსაწერად, ამ სიტყვით ის ხაზს უსვამს გარშემომყოფთა არაგულწრფელ და თვალთმაქცურ დამოკიდებულებას. ჰოლდენ კოლფილდი სალი ჰეიესთან ერთად თეატრში მიდის. ანტრაქტის დროს ჰოლდენ კოლფილდს აღიზიანებს იქ მყოფი ხალხი. ის ბევრჯერ იყენებს ამ სიტყვას, რათა გამოხატოს თავისი უკმაყოფილება ვინმეს ქცევის მიმართ.

რომანის ქართულ თარგმანში ამერიკული სლენგი “Phony” როგორც სლენგი ისე არ არის თარგმნილი:

“You never saw so many **phonies** in all your life, everybody smoking their ears off and talking about the play so that everybody could hear and know how sharp they were” (Salinger, 2003:127).

„მაგარი თავყრილობა იყო. ყველა აფუილებდა და ისე ხმამაღლა გამოთქვამდნენ თავიანთ ბრძნულ აზრებს პიესის თაობაზე, რო ფოიეში მაგათი ვერგამგონე არავინ დარჩენილიყო“ (სელინჯერი, 2006:176).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „თქვენს დღეში არ გექნებათ ნანახი იმდენი **მანჭვა-გეხვა**. თამბაქოს კვამლში გახვეულან და ხმამაღლა ლაპარაკობენ პიესაზე, რათა ყველამ გაიგონოს და მიხვდეს, რა ჭკუის კოლოფებიც არიან“ (სელინჯერი, 2020:181).

“It was the **phoniest** conversation you ever heard in your life” (Salinger, 2003:128).

„ერთად ამდენი **ჭყუილ-მახთაღი** ჩემ დღეში არ გამიგონია“ (სელინჯერი, 2006:179).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „ამისთანა სულელური ლაქლაქი ჩემს დღეში არ მომისმენია“ (სელინჯერი, 2020:183).

ჰოლდენ კოლფილდის მიერ ასევე ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვაა “Goddam”,

რომელიც არის Goddamn-ის მართლწერის ვარიანტი. ოქსფორდის სლენგის ლექსიკონში დასტურდება სხვადასხვაგვარი დაწერილობით: God-damn, god-damned, god-dam (1844) Mainly US; used as an adjective and adverb; from the imprecation God damn (me, you, etc.) (ODS, 1999:338).

Goddamn გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსაუბრე: გაბრაზებული, გაკვირვებული ან აღელვებულია (<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/goddamn>). ჰოლდენ კოლფილდი ხშირად აღნიშნავს, თუ რამდენად მართოსული და დეპრესიული ადამიანია. ის ტიპური თინეიჯერი იყენებს ბევრ სლენგს, მაგ. როგორცაა: „Goddamn“. გჭუმბურიძე გამოტოვებას, როგორც ლექსიკოგრაფიკული ტრანსფორმაციის მეთოდს, ხშირად მიმართავს, ხოლო ვ. ჭელიძესთან სალაპარაკო ფორმით არის გადმოცემული:

“I’m not going to tell you my whole **goddam** autobiography or anything” (Salinger, 2003:3).

„არც იმას ვაპირებ ახლა მთელი ჩემი CV ჩამოგიკაკლოთ“ (სელინჯერი, 2006:3).

ვ. ჭელიძის თარგმანში სიტყვა „წყეულით“ არის თარგმნილი: „ვის რაში სჭირდება, რომ ავდგე და მთელი ჩემი **წყეული** ავტობიოგრაფია წვრილად ჩავეკაკლო“ (სელინჯერი, 2020:5).

“I left all the foils and equipment and stuff on the **goddam** subway” (Salinger, 2003:5).

„რატო და იმიტო, რო მთელი ჩვენი აღჭურვილობა მეტროში დამრჩა“ (სელინჯერი, 2006:6).

ვ. ჭელიძის თარგმანში „ოხერით“ არის გადმოტანილი: „დაშნა, კოსტუმი და, საერთოდ, მთელი მორთულობა იმ **ობეჩ** მეტროში დამრჩა“ (სელინჯერი, 2020:8).

“I had to keep getting up to look at a **goddam** map on the wall” (Salinger, 2003:22). „ყოველ წუთს ადგომა და იმ რუკის ჩითვის მიხედობოდა, ტვინი ამიდულდა“ (სელინჯერი, 2006:33).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „მთელი გზა იმ **ობეჩ** სქემას მივჩერებოდი კედელზე“ (სელინჯერი, 2020:32).

“She was sore as hell, but she got up off my **goddam** lap so that I could go over and get my wallet off the chiffonier” (Salinger, 2003:99).

გვაქვს მაგალითი, როდესაც ორივე მთარგმნელთან გამოტოვებულია:

„მაგარ გატეხილში იყო, მაგრამ წამოდგა და მეც საფულე დავაძრე ჯიბიდან“ (სელინჯერი, 2006:136).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „გაცეცხლებული იყო, მაგრამ მაინც წამოდგა ჩემი მუხლებიდან. მე კარადასთან მივედი, საფულე მოვძებნე...“ (სელინჯერი, 2020:140).

აღსანიშნავია, რომ ჟარგონიზმები განსაკუთრებული ემოციურ-ექსპრესიულობით ხასიათდება, ამიტომ ხშირია სინონიმია. რომანში ზოგიერთი სლენგი გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით,

მაგ. სიტყვა “crap”-ი. ინგლისური სლენგი *Crap* განი-
მარტება, როგორც: უაზრობა, სისულელე, ვულგ. გა-
ნავალი (<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/crap>).

ჰოლდენ კოლფილდი არ არის მზად თავისი
ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები გაუზი-
აროს მკითხველს განსხვავებით დევიდ კოფერ-
ფილდისგან, რომელიც დეტალურად გვიყვება თა-
ვის თავგადასავალს. მთარგმნელმა სამიზნე ენაში
სინონიმური ჯგუფიდან შეუსაბამა სიტყვა „ბაზარი“,
რომელიც ქართული ჟარგონის ლექსიკონში განიმა-
რტება: ყბედობა, ყაყანი (ქუთა, 2005:24)

“And all that David Copperfield kind of **crap**” (Salinger, 2003:3).

„მთელი ეს **ბაზაჰი** დევიდ კოპერფილდის სტი-
ლში“... (სელინჯერი, 2006:3).

ბაზაჰი – ფრ.–Bazaar სურსათ-სანოვაგისა და
ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობისათვის გა-
ნკუთვნილი ადგილი (ქეგლ, 1986:56).

თუ გ. ჭუმბურიძე გვთავაზობს ჟარგონულ ფორ-
მას „ბაზარი“, ვ. ჭელიძე – „აბდაუბდას“: „ათასგვარ
დავით კოპერფილდისებურ **აბდაუბდას**“ (სელინ-
ჯერი, 2020:5).

მეორე ამონარიდში კი აქვს განსხვავებული
მნიშვნელობა, რომელიც მიმღებ ენაში ითარგმნა
„ცხოველის სკორე“:

“It was lousy in the park. It wasn’t too cold, but the
sun still wasn’t out, and there didn’t look like there was
anything in the park except **dog crap** and globs of spit
and cigar butts from old men, and the benches all looked
like they’d be wet if you sat down on” (Salinger, 2003:119).

„პარკში სიტუაცია – დიდი ვერაფერი. ძაან არ
ციოდა, ოღონდ მზე მაინც არ ჩანდა. უხვად იყო **ძა-
ღისსკოჩი**, სიგარის ნამწვავები და პატარ-პატარა
ქალაღდის ნაგლეჯები“ (სელინჯერი, 2006:164).

ვ. ჭელიძისეული თარგმანი კვალდაკვალ მი-
ყვება ორიგინალს, თუმცა გ.ჭუმბურიძემ სიტყვა
“**crap**” უფრო ზუსტი ეკვივალენტით თარგმნა: „პა-
რკიც საზიზღარი იყო. სიცვი იმდენად არაფერი,მა-
გრამ მზე ჯერაც არ ამოსულიყო და კაცის ჭაჭანებას
ვერ ნახავდი - მხოლოდ ძაღლების **ნაკვადევს** თუ
შენიშნავდი, და პაპიროსის ნამწვავებსაც იმ ადგი-
ლას, საცა ბერიკაცებს უყვართ ხოლმე ჯდომა“ (სე-
ლინჯერი, 2020:169).

ჰოლდენ კოლფილდს პენსის დატოვება
მოუწია მას შემდეგ, რაც ოთხი საგანი ვერ ჩააბარა.
იხსენებს მეგობრებთან ერთად ფეხბურთის თამა-
შებზე დასწრებასა და სკოლაში გატარებულ ბოლო
დღის ისტორიას.

“All of a sudden I thought of something that helped
make me know I was **getting the**
hell out” (Salinger, 2003:6).

ოქსფორდის სლენგის ლექსიკონში “Get the hell
out” განმარტებულია როგორც - „სწრაფი გამგზა-
ვრება“ (Oxford Dictionary of Slang,1999:384). გ. ჭუმბუ-

რიძეს ეს სიტყვა გადმოტანილი აქვს „ვითესებოდი“
ზმნის ფორმით:

„ნამში გავიაზრე - მართლა საბოლოოდ **ვითესე-
ბოდი**ქიდან“ (სელინჯერი, 2006:8).

ათესა – გააგდო, გააძევა. „დათესა“ ზმნის
ჟარგონული ანტონიმი (თითქოს რაღაც დათესილი
იყო და ნიადაგიდან ამოაგდო, აღმოფხვრა) (ქუთა,
2005:14).

ვ. ჭელიძის თარგმანში ამერიკული სლენგი ევ-
ფემიზმითაა ჩანაცვლებული: „უცებ ისეთი რაღაც
მომაგონდა, რომ ხელაღვე ვიგრძენი - საბოლოოდ
ვტოვებ იმ ოხერ სკოლას-მეთქი“ (სელინჯერი,
2020:10).

წყაროენის იგივე ჟარგონული გამონათქვამი
“Get the hell out” თარგმანის ენაში გავრცელებულია
სინონიმური მნიშვნელობის სხვა სლენგით:

დაგაზა - ძალიან სწრაფად წავიდა, გაიქცა. აწ-
მყო „გაზავს“ (ქუთა, 2005:52).

“Then I got the **hell out**” (Salinger, 2003:54).

„მერე კი უკანმოუხედავად **დავგაზე**“ (სელინჯერი,
2006:75).

ვ. ჭელიძე შინაარსობრივ ანალოგს „დავეშვი“-
ფორმას უძებნის: „ვიღრიალე და კიბებზე **დავეშვი**“
(სელინჯერი, 2020:78).

რომანში გამოყენებულია იდიომური გამონა-
თქვამები: “leave on” და “go to” და თარგმნილია რო-
გორც სლენგი:

ჭუმბურიძის თარგმანში “leave on” გადმოტანი-
ლია გავრცობილი ფრაზით „ცხელ გულზე არ და-
გაზოს-მეთქი“, ხოლო ვ. ჭელიძესთან გვხვდება მა-
რტივი გამონათქვამით: „არ მიმატოვოს-მეთქი“

„ვიფიქრე, ახლა არ ადგეს და **ცხელ გულზე ახდაგა-
ზოს-მეთქი**. ამიტომ მოვკეტე“ (სელინჯერი, 2006:202).

“I was sort of afraid he’d get up and **leave on** me if I
didn’t shut up” (Salinger, 2003:146).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „ალარაფერი
მითქვამს. შემეშინდა, არ ადგეს და **აჰ მიმატოვო-
ს-მეთქი**“ (სელინჯერი, 2020:208).

„იქნებ, ჩინეთში **დავგაზო**“ (სელინჯერი, 2006:205).

“Maybe I’ll **go to** China (Salinger, 2003:149).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „იქნებ ჩი-
ნეთში წასვლაც **მომიწიოს**“ (სელინჯერი, 2020:211).

რიგ შემთხვევებში მთარგმნელი ავლენს სა-
პირისპირო ტენდენციას და თარგმანში როგორც
სლენგი ისე არის თარგმნილი, თუმცა დედანში ჟა-
რგონული მნიშვნელობა არ აქვს: მაგ. “Asking me to
write” თარგმნილია როგორც - გაშანსა, რომელსაც
ქართული ჟარგონის ლექსიკონში აქვს „იმოვას“
მნიშვნელობა (ქუთა, 2005:42). ოთახის მენყვილე,
უარდ სტრადლეიტერი, ჰოლდენ კოლფილდს
ინგლისურ ენაზე თავისუფალი თემის დაწერაში
დახმარებას სთხოვს, რაზეც ჰოლდენ კოლფილდი
პასუხობს:

“I’m the one that’s flunking out of the goddam place,
and you’re **asking me to write you** a goddam composition,
I said” (Salinger, 2003:30).

„მე სკოლიდან მრიცხავენ, შენ კიდე თემა გინდა **გაგიშანსო?** გააფრინე“ (სელინჯერი, 2006:43).

ვ. ქელიძის თარგმანში დაცულია ორიგინალის სემანტიკური სიზუსტე: „მე თვითონ გამომაპანლურეს ამ ოხერი სკოლიდან, და შენ კიდევ რაღაც დავალების **დაწეხას მთხოვ**“ (სელინჯერი, 2020:43).

მეორე მაგალითში „I got the tickets“ აქვს ბილეთების შოვნის მნიშვნელობა, თუმცა მთარგმნელი გ. ქუმბურიძე აქაც სლენგს იყენებს:

„**ბილეთები ხომგავშანსე**, მერე ტაქსით წავედი პარკში“ (სელინჯერი, 2006:164).

„After **I got the tickets** to the Lunts' show, I took a cab up to the park“ (Salinger, 2003:119).

შედარება ვ. ქელიძის თარგმანთან: „**ბილეთები ხომ ავიღე**, ტაქსი გავაჩერე და პარკისკენ გავიწიე“ (სელინჯერი, 2020:168).

ამის დასტურია სხვა ამონარიდებიც: კალათბურთის მწვრთელი ედ ბენკი სტრადლეიტერს უარს არაფერზე ეუბნებოდა, მათ შორის, არც მანქანის თხოვებაზე. როდესაც ჰოლდენ კოლფილდი ეკითხება უარდ სტრადლეიტერს, თუ სად იმყოფებოდა, ის პასუხობს:

„Cut it out,“ I said. „Whose car?“ „**Ed Banky's**“ (Salinger, 2003:44).

„Ed Banky's“ - იგულისხმება, რომ ავტომანქანა ედი ბენკისაა. თარგმანში ვკითხულობთ:

„მანქანაში. ედ ბენკის **დავაწეხე**“ (სელინჯერი, 2006:63).

ქართული ჟარგონის ლექსიკონში სიტყვა „დაანერა“ განმარტება - იძულებული გახადა, „საკუთარი ნებით“ დაეთმო ფული, ძვირფასეულობა და მისთ.; წაართვა (ქულ, 2005:51). თუმცა ორიგინალში წართმევის მნიშვნელობა არ აქვს, რასაც ადასტურებს შემდეგი წინადადება: „ედ ბენკი კალათბურთის მწვრთნელად იყო პენსიში. სტრადლეიტერს მაგრა ელოლიავებოდა, რადგან მის გარდა რიგირი არც ყავდა. ამიტომაც აძლევდა ხოლმე მანქანის გასაღებს“ (სელინჯერი, 2006:63).

შედარება ვ. ქელიძის თარგმანთან: „ვისი მანქანა იყო. ედი ბენკისა“ (სელინჯერი, 2020:64).

იგივე სიტყვა „დაანერა“ გამოყენებულია მოპარვის მნიშვნელობით:

„I wished I knew who'd **swiped** my gloves at Pencey“ (Salinger, 2003:89).

წყაროენაში გამოყენებული სლენგი „Swipe“ ითარგმნება - მოპარვა (<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/swipe>).

Swipe – v. მაგრად დარტყმა, ქურდობა, მოპარვა (იქლ, 2003:910).

თარგმანშიც აქვს მოპარვის სემანტიკა: „ერთი გამაგებინა, ხელთათმანები ვინ **დამაწეხა-მეთქი**, ვფიქრობდი“ (სელინჯერი, 2006:124).

ვ. ქელიძე იყენებს სალაპარაკო ფორმას „ამწაპნა“: „ნეტა ვინ **ამწაპნა** პენსიში ის ხელთათმანები“ (სელინჯერი, 2020:128).

ჰოლდენ კოლფილდისათვის მარტობა განუყოფელი პრობლემაა. ერთ-ერთ ეპიზოდში ის ერნი მაროუსთან მიდის და უსმენს ერნის პიანინოზე დაკვრას, თუმცა ამ შესრულებას მასზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ჰოლდენ კოლფილდი ცდილობს თავი დააღწიოს გარემოს, მაგრამ მარტო დარჩენასაც გაურბის:

„But it was too early and I **didn't feel much like** being all alone“ (Salinger, 2003:86).

ორიგინალში ვკითხულობთ შესიტყვებას feel like, რომელიც ითარგმნება სურვილი რაღაცის კეთების (<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/feel-like>).

მთარგმნელს გადმოაქვს ჟარგონული სიტყვით „ტეხავდა“.

„მაგრამ მაინც ძაან ადრე იყო ჯერ და მარტო დარჩენაც მაგრა **ტეხავდა**“ (სელინჯერი, 2006:119).

ლევან ბრეგაძის «ქართული ჟარგონის ლექსიკონში» განმარტებულია: ტეხავს - უსიამოვნო გრძნობას ბადებს, განწყობილებას აფუჭებს. ანტონიმი „ასწორებს“ (ქულ, 2005:117)

ალსანიშნავია, რომ ქართულში გვაქვს რამდენიმე უთემისნიშნო ზმნა, ერთ-ერთი ამ ტიპის ზმნაა ტეხს, რომელიც ხშირად – ავ თემის ნიშნითაა წარმოდგენილი. როგორც ჟარგონიზმი მხოლოდ თემისნიშნის ფორმით გვხვდება „ტეხავს“.

შედარება ვ. ქელიძის თარგმანთან: „მაგრამ ძალიან ადრე იყო და **აჰ მინდოდა**, მარტოცა დავრჩენილიყავი“ (სელინჯერი, 2020:123).

იმავე მნიშვნელობით არის გამოყენებული შემდეგ ამონარიდშიც:

„I didn't do it because I felt like walking or anything. It was more because **I didn't feel like** getting in and out of another taxicab“ (Salinger, 2003:89).

„იმიტო კი არა, თითქოს გასეირნების იშტაზე ვიყავი - უბრალოდ, კიდე ერთ დაფეხვილ ტაქსში ჩაჯდომა-გადმოჯდომა **მიტეხავდა**“ (სელინჯერი, 2006:124).

შედარება ვ. ქელიძის თარგმანთან: „ძალიან კი არ მეხალისებოდა ფეხით ფრატუნი, მაგრამ ტაქსში ჩაჯდომა **ალაჰ მინდოდა**“ (სელინჯერი, 2020:128).

გ. ქუმბურიძისგან განსხვავებით ორივე ამონარიდში ვ. ქელიძე სალაპარაკო ვარიანტებს ირჩევს.

როგორც ორიგინალ ნაწარმოებში, ისე თარგმანში ჟარგონულ გამოთქმას „To be killed by something“ აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა:

„That **killed me**. Her middle name is Josephine, for God's sake, not Weatherfield. She doesn't like it, though. Every time I see her she's got a new middle name for herself“ (Salinger, 2003:161).

„**მაგაჰია**. უნდა-არუნდა, მაგის მეორე სახელი ჟოზეფინაა, მაგრამ ვერ იტანს და ყოველ ჯერზე რაღაც ახალს იგონებს. ეს უზიერფილდი მაინც სად გაჩითა?“ (სელინჯერი, 2006:222).

ქართული ჟარგონის ლექსიკონში განიმარტება: მაგარი - კარგის, ჩინებულის, საუცხოოს მნიშვნელობა შეიძინა (ქულ, 2005:83).

ვ. ჭელიძეს ახალგაზრდა პერსონაჟთა მეტყველებაში გავრცელებული სასაუბრო სტილისთვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიური გამონათქვამით აქვს თარგმნილი: „ჭკუა კინალამ დავკაჩე“. მისი მეორე სახელი უეტერფილდი კი არ არის, ჟოზეფინა ჰქვია. მაგრამ არ უყვარს. რაც თავი მახსოვს, სულ ახალ და ახალ სახელებს იგონებს (სელინჯერი, 2020:229).

“Ten now, and not such a tiny little kid any more, but she still **kills** everybody-everybody with any sense, anyway” (Salinger, 2003:70).

„ათი წლისაა უკვე, აღარც ისეთი პატარაა, მაგრამ შანსი არ არი - ყველას **უყვარს**. ყველას, ვინც კი ცოტა რამის აზრზეა“ (სელინჯერი, 2006:98).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „ახლა უკვე ათი წლისაა, უკვე აღარ არის ისეთი პანანინა, მაგრამ მაინც ყველას **აგიჟებს** - ვისაც რამე ესმის, რა თქმა უნდა“ (სელინჯერი, 2020:101).

“That **kills** me. Old Phoebe. I swear to God you’d like her” (Salinger, 2003:69).

„აი, მაგაზე **ვითიშები**. ძალიან საყვარელი ვინმეა, მართლა“ (სელინჯერი, 2006:97).

ვ. ჭელიძის თარგმანში თავისუფალი შესიტყვებით „გაგიჟდება კაცი“ გვხვდება: „**გაგიჟდება კაცი**. ასეთი გახლავთ ჩემი ფიბი. ნამდვილად მოგეწონებათ“ (სელინჯერი, 2020:100).

უარყოფითი კონოტაცია იკითხება ქვემოთ მოყვანილ ამონარიდებში:

“He said he talked to Jesus all the time. Even when he was driving his car. That **killed me**. I just see the big phony bastard shifting into first gear and asking Jesus to send him a few more stiffs” (Salinger, 2003:19).

„მე თვითონო - პირდაპირ ასე თქვა - მანქანის საჭეს რო ვუზივარ, მაშინაც იესოს ვესაუბრებო. აი, მანდ კი ლამის **გავთავდი**: ერთბაშად წარმოვიდგინე, ეგ გაქსუებული ნაბიჭვარი რო მეოთხეში აგდებს სიჩქარეს და თან მაცხოვარს შესთხოვს - შემენიე, იქნება ცოტა მეტი მკვდარი გამომიგზავნო ჩემს ბიუროებშიო“... (სელინჯერი, 2006:27).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „მეც, პირადად, სულ ქრისტეს ვესაუბრები, მაშინაც კი, როცა საჭეს ვუზივარო. ამან **მომსპო!** წარმოვიდგინე, როგორ გადაჰყავს ამ გამოქექილ ნაბიჭვარს მანქანა პირველ სიჩქარეში და თან ქრისტეს სთხოვს, ცოტა უფრო მეტი მკვდარი გამომიგზავნეო (სელინჯერი, 2020:27).

“Then this girl gets killed, because she’s always speeding. That story just about **killed me**” (Salinger, 2003:20).

„მერე ის გოგო რაღაცას შეასკდება და დაიღუპება, იმიტო რო წყნარ ტარებაზე აცრილი იყო. ლამის **ცხემდება დავიღვახე**“ (სელინჯერი, 2006:30).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „მერე გოგო კვდება, რადგან სულ ფაცხაფუცხით დადის. **ჭკუა კინალამ დავკაჩე** ამ მოთხრობაზე“ (სელინჯერი, 2020:29).

არსებობს გარკვეული ჟარგონული სიტყვები და ფრაზები, რომლებსაც სამიზნე ენაში არ აქვთ ზუსტი ჟარგონული ეკვივალენტი. მაგ. ორიგინალ ენაში სლენგი “Falsies” აღნიშნავს, რბილი მასალის ბალიშებს, რომლებიც გამოიყენება ქალის მკერდის გადიდების ან გარეგნობის სიმულაციისთვის (<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/falsies>). ზემოხსენებული სლენგი სხვა ჟარგონთან ერთად გამოიყენება შესიტყვებაში: Damn - რომელსაც გაღიზიანების შორისდებულის ფუნქცია აქვს: (<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/damn>).

ჰოლდენ კოლფილდი დირექტორის ქალიშვილს, სელმა თერმერს, ახასიათებს შემდეგი ფრაზით:

“She had a big nose and her nails were all bitten down and bloody-looking and she had on those **damnfalsies** that point all over the place, but you felt sort of sorry for her” (Salinger, 2003:5).

თარგმანში ვკითხულობთ: „ოღონდ ცხვირი კი ნამეტანი გრძელი ქონდა, ფრჩხილებიც ძირამდე დაკვნეტილი და **მკეხდზეც კაბის ქვეშ იმდენი ხალაცა ამოფეო**, მაგ ზომისა ნაღდად ვერ ექნებოდა“ (სელინჯერი, 2006:6).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „ჩამოგრძელებული ცხვირი ჰქონდა, ფრჩხილებიც სულ დაკვნეტილი - ლამის სისხლი სდიოდა - ის **ოხეხილიფიც ისე გამოუტენა ხალაცით**, რომ აქეთ-იქით უყანყალებდა. მაგრამ მაინც შეგეცოდებოდა კაცს (სელინჯერი, 2020:8).

ამ შემთხვევაში სლენგი ორივე თარგმანის ენაში კომპენსირებულია სასაუბრო სიტყვებით.

სხირად გამოიყენება კომპენსაცია, როდესაც თარგმანის ენაში ეკვივალენტები არ არის ნაპოვნი. თუმცა გვაქვს მაგალითები, როდესაც გარკვეულ ცნებებს აქვთ მრავალი შესატყვისი, მაგ. ფულთან დაკავშირებული ფრაზები და ამ შემთხვევაშიც მთარგმნელი იყენებს კუთვნილ კომპენსაციებს. მაგ:

“He’s got **a lot of dough**” (Salinger, 2003:3).

Dough - ამერიკული სლენგი და განიმარტება როგორც ფული (<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/dough>).

მთარგმნელს გადმოაქვს: „თანაც **ფული ახლა ჩეჩქივითა** აქვს დიბის“ (სელინჯერი, 2006:4). ჩეჩქივით აქვს ფული (საუბ.) კი ნიშნავს - ბევრი ფული აქვს (ქეგლ; გვ. 531).

იმავე სიტყვით არის თარგმნილი ვ. ჭელიძესთან: „იცოცხლე, **ფული ჩეჩქივით აქვსახლა**“ (სელინჯერი, 2020:6).

მეორე ამონარიდში იგივე სიტყვა ფულთან დაკავშირებული სხვა შესიტყვებით არის თარგმნილი: “I should’ve taken a subway or something, because I was getting slightly low on **dough**, but I wanted to get off that damn Broadway as fast as I could” (Salinger, 2003:119).

თარგმანში ვკითხულობთ: „კაცმა რომ თქვას, ჯობდა მეტროში ჩავსულიყავი - ფულზე უკვე მართლა **ქესაგად** გახლდით, მაგრამ ერთი სული მეონდა, ბროდვეიდან დავთესილიყავი“ (სელინჯერი, 2006:164).

ქესატი - (არაბ.) (საუბ.) უფულო ადამიანი (ქეგლ; გვ. 454).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „მეტროთი უნდა წავსულიყავი, **ფული ცოგალა** დამრჩა, მაგრამ ერთი სული მეონდა, მანამ ამ ოხერ ბროდვეის მოვშორებოდი“ (სელინჯერი, 2020:168).

პერსონაჟის მეტყველებაში, გარდა სლენგისა და ჟარგონიზმებისა, დასტურდება ვულგარიზმებიც.

ერთ-ერთ ეპიზოდში, როდესაც რობერტ ეკლის ეძინა, ჰოლდენ კოლფილდი კათოლიციზმზე ფიქრობს და ეკლის აღვიძებს, რათა მიიღოს პასუხები კითხვებზე, თუ რა არის საჭირო მონასტერში ბერად აღსაკვეცად:

““Listen. What's the routine on joining a monastery?" I asked him. I was sort of toying with the idea of joining one. "Do you have to be a Catholic and all?" "Certainly you have to be a Catholic. You **bastard**, did you wake me just to ask me a dumb ques—" (Salinger, 2003:52).

Bastard - უკანონო შვილი, ბუში; უჯიშო, ნადირალა (იქლ, 2003:75). შეურაცხყოფელი სიტყვა, რომელსაც იყენებენ ადამიანზე, რომელიც ძალიან ცუდად მოიქცა (<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/bastard>).

თარგმანში ვკითხულობთ: “შენ ის მითხარი, მონასტერში რო ბერად აღიკვეცო, რამეა საჭირო?” - ერთხანობა ეს მეონდა აკვიატებული, ახლა გამახსენდა. - „აუცილებლად კათოლიკე უნდა იყო?“ „აბა, არ უნდა იყო? **ვიხო**, ამისთვის გამაღვიძე?“ (სელინჯერი, 2006:72).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „მოიხედე, მონასტერში როგორ უნდა შევიდეს კაცი? - ვკითხე მე. უცებ გადავწყვიტე, მონასტერში შევსულიყავი, - უსათუოდ კათოლიკე უნდა იყო თუ არა? - ალბათ, ამისთვის გამაღვიძე, შე **ნაბიჭვახო**, შე“ (სელინჯერი, 2020:74).

სალიტერატურო ენისთვის მიუღებელი ფორმა გ. ჭუმბურიძის თარგმანში შერბილებულია უარყოფითი კონოტაციის სხვა ლექსიკური ერთეულით: ერთ ამონარდში უხეში სიტყვით, მეორეში კი - დამამცირებელი-დამაკნინებელი ფორმით, ხოლო ვ. ჭელიძესთან ორივე შემთხვევაში გამოყენებულია სალანძღავი ფორმა:

“Aah, go back to sleep. I'm not gonna join one anyway. The kind of luck I have, I'd probably join one with all the wrong kind of monks in it. All stupid **bastards**. Or just bastards.” (Salinger, 2003:52).

თარგმნილია: „კარგი, ხო. თავისუფალი ხარ. მაინც აზრი არა აქვს. მე რო მონასტერში წავიდე, წამში აირევა იქ ყველაფერი. ან ჩემი ბედი რო ვიცი, ყველანი გამოშტერებული **ბებიები** აღმოჩნდებიან ან რამე...“ (სელინჯერი, 2006:72).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „კარგი ერთი, ისევ დაიძინებ. სულერთია, მონასტერში მაინც არ წავალ. იმისთანა იღბალი მაქვს, რომ ყველაზე საშინელ ბერებთან მოვხვდები. რაც ქვეყანაზე შტერები და **ნაბიჭვები**, სულ იქ იქნებიან თავმოყრილი“ (სელინჯერი, 2020:74).

გვაქვს მაგალითები, როდესაც მთარგმნელი უცნებურ სიტყვით თარგმნის ვულგარულ სიტყვებს:

“I didn't like the way he said it, so I said, "The reason she did that, she probably just didn't know what a handsome, charming **bastard** you are. If she'd known, she probably would've signed out for nine-thirty in the morning" (Salinger, 2003:36).

„ძაან-ძაან გამიტყდა, როგორ და რანაირადაც თქვა. „აზრზე არ არი, რა მომხიბლავი, გულიანი და კაიდროისმტარებელი **ნაბიჭვაი** ხარ, თორე ნაღდად დილის ათის ნახევრამდე დაეთხოვებოდა“ - ვუბნები იქედნურად“ (სელინჯერი, 2006:51).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „ალბათ არ იცოდა, რა კოხტა და მომხიბლავი **ახამზადა** ხარ. რომ სცოდნოდა, დილის ათის ნახევრამდე დაეთხოვებოდა (სელინჯერი, 2020:51).

ორივე მთარგმნელი ვულგარულ გამონათქვამს მიმართავს:

“In every school I've gone to, all the athletic **bastards** stick together” (Salinger, 2003:44).

„ყველა სკოლაში ეგრეა - სპორტზე გადაგებული **ნაბიჭვები** ერთმანეთს უჭერენ მაზს“ (სელინჯერი, 2006:63).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „რომელ სკოლაშიაც არ მივსულვარ, ეს **ნაბიჭვაი** სპორტსმენები ყველგან დიდ პატივში ჰყავთ“ (სელინჯერი, 2020:64).

ერთ-ერთი ვულგარული სიტყვა, რომელიც არცთუ იშვიათად გამოიყენებს მთავარი პერსონაჟი, ჰოლდენ კოლფილდი, არის “Sonuvabitch” ალტერნატიული ფორმა “Son of a bitch”, რომელიც ითარგმნება - მამაძალდი, არამზადა, ნამუსგარეცხილი (იქლ, 2003:854). შეურაცხყოფელი სიტყვა, გამოიყენება უსარგებლო ან საზიზღარი ადამიანის მისამართით (<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/son-of-a-bitch>).

მთარგმნელი ამ შემთხვევაში სალანძღავ ფორმებს გამოიყენებს, როდესაც თარგმნის რობერტ ეკლის სიტყვებს სტრადლეიტერის მისამართით წარმოთქმულს:

“Boy, I can't stand that **sonuvabitch**. He's one sonuvabitch I really can't stand” (Salinger, 2003:26).

„ვერ ვიტან მაგ **ძაღლის გაგებულს**. სუფთა პიდე-რია“ (სელინჯერი, 2006:37).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „ისე. ვერ ვიტან მაგ **ძაღლის გაგებულს**. დასანახად მძულს (სელინჯერი, 2020:37).

“I still say he's a sonuvabitch. He's a conceited **sonuvabitch**” (Salinger, 2003:26).

„მე კიდე გეუბნები, პიდერია ნამდვილი. **ძაღლიშვილი**“ (სელინჯერი, 2006:39).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „მე კიდე გეუბნები, ძაღლის გაგდებულია-მეთქი. გაბლენძილი და **ძაღლის გაგდებული**“ (სელინჯერი, 2020:38).

თარგმანი გადატვირთულია სლენგით, ჟარგონიზმებითა და ვულგარიზმებით, რაც ადასტურებს იმას, რომ ახალგაზრდებში შეინიშნება მათი გამოყენების ზრდის ტენდენცია. ამით მთარგმნელები ცდილობენ მიმღებ ენაში შეინარჩუნონ პერსონაჟთა რეალური სახე.

როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგია ენის გამდიდრების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. „ცალკეულ სიტყვა-სახელებთან ერთად ენაში გამოიყოფა სიტყვათა მყარი შეერთებანი, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ სინამდვილის მოვლენათა აღსანიშნავად. ენა ფლობს ურიცხვ მზა ფორმას, რომლებიც ამოსავალი მნიშვნელობის გარდა გადატანითი გაგებას აქვთ“ (თაყაიშვილი, 1961:5).

თანამედროვე ტენდენციაა მეტყველების არანორმატიული ლექსიკით დატვირთვა, რასაც ასახავს სალიტერატურო სივრცე. „ჟარგონის, ინვექტივების, ობსცენური გამონათქვამების სიჭარბე ხელს უწყობს მათ ყველაზე გავრცელებულ და პოპულარულ ფრაზეოლოგიზმებად ჩამოყალიბებას (მიქავა, 2016:306).

ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმანა მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს. ენების უნიკალურობა, რომელიც გამოიხატება ლექსიკურ და გრამატიკულ სტრუქტურაში, მათი ისტორიული განვითარების გზები, კულტურისა და მსოფლმხედველობის განსხვავებულობა გარკვეულ სირთულეებს იწვევს ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნისას.

„ფრაზეოლოგიზმები, საზოგადოდ, ე.წ. „უთარგმნელ ელემენტთა“ კატეგორიას განეკუთვნებიან, მაგრამ ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას ან გამონათქვამს შეიძლება აღმოაჩნდეს აზრობრივადაც და შინაგანი ფორმითაც ტოლფასი ფრაზეოლოგიური ეკვივალენტი, რომელთანაგ ზოგი საკუთრივ თარგმნითი ვარიანტია, მაგრამ უკვე დაფიქსირებული ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში და ფართოდ გავრცელებული ხმარებაში“ (საყვარელიძე, 2001:86).

თანამედროვე სალიტერატურო ენაში უხვად არის დამკვიდრებული ფრაზეოლოგიზმები. ზოგიერთ ფრაზეოლოგიზმში გამოთქმული აზრი, შესაძლოა, გაგებული იქნეს არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც. ჰოლდენ კოლფილდი ფილმს უყურებს ერთ ინგლისელ ალექსზე, რომელიც ომში დაიჭრა და მეხსიერება დაკარგა. ჰოსპიტლიდან გამოწერეს და თავისი ვინაობა არ იცის:

„He comes out of the hospital carrying a cane and limping all over the place, all over London, **not knowing** who the hell he is“ (Salinger, 2003:139).

Knowing -ცოდნა, გაგება; გაცნობა (რისამე); 2) აღქმა; 3) შეცნობა, მიხვედრა (<https://www.translate.ge/>).

მიმღებ ენაში ფრაზეოლოგიური ერთეულითაა თარგმნილი: „ჰოსპიტლიდან რო გამოწერეს, თან დაკოჭლებული, დაჩოლახობს ახლა ლონდონ-ქალაქის ქუჩებში და **აზიზე ვეი მოდის**, ვინაა და რა დემართა“ (სელინჯერი, 2006:193).

აზრზე ვერ მოვა – ნიშნავს გონზე ვერ მოვა, ვერ იხსენებს.

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „გამოვა ჰოსპიტლიდან, ხელში ჯოხი უჭირავს, საცოდავად მოჩლახუნობს, მთელ ლონდონს შემოივლის, მაგრამ თავისი ვინაობა **აი იცის**“ (სელინჯერი, 2020:198).

გვაქვს შემთხვევები, როდესაც სიტყვათწყობა ორიგინალი ენიდან იცვლება სამიზნე ენაში მათი ლოგიკური მნიშვნელობებიდან გამომდინარე. მაგ. იდიომი „give a horse manure“ სიტყვა-სიტყვით ითარგმნება: Horse – ცხენი, ჰუნე, რაში, ტაიჭი (იქლ, 2003:440), ხოლო Manure – ნეხვი, პატივი, ნაკელი (იქლ, 2003:553). იდიომური გამოთქმა გვაძლევს განსაზღვრებას - „სისულელე“. (<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/horse-manure>). ქართულ თარგმანებში კი გადმოტანილია ერთგან „ტვინის გაბურღვის“ და მეორეში კი - „ტვინის გახვრეტის“ მნიშვნელობით:

ტვინს გაუბურღავს – შეაწუხებს, შეაღონებს:

„უფრო კი ის მომეწონა, **ტვინი** რომ არ **გამიბუხდა** თავისი პროფესორა მამიკოზე ლაქლაქით“ (სელინჯერი, 2006:6).

“What I liked about her, she didn’t give you a lot of **horse manure** about what a great guy her father was” (Salinger, 2003:5).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „განსაკუთრებით ის მომეწონა, რომ **ტვინს აი გიხვებდა** - ასეთი დიდი ვინმეა მამაჩემიო“ (სელინჯერი, 2020:8).

იმავე ჟარგონული იდიომითაა თარგმნილი ორიგინალ ნაწარმოებში სხვა შესიტყვებით გამოყენებული ფრაზა:

„მერე ვიღაც უესტპოინტელი კადეტის გამო **გამიბუხდატვინი** – ნუ იტყვით, თავს იკლავდა თურმე მისი გულისთვის“ (სელინჯერი, 2006:149).

“Then she **told me about** some other guy, some West Point cadet, that was cutting his throat over her too” (Salinger, 2003:107).

გ. ჭუმბურიძის თარგმანისაგან განსხვავებით ვ. ჭელიძის თარგმანებში სალაპარაკო ფორმებისკენ მიდრეკილება შეინიშნება: „მერე სხვა ვაჟბატონის **ამბავს მოჰყვა**, ვიღაც ვესტ-პოინტელი კადეტი ყოფილა, რომელიც ლამის ყელს იდადრავდა თურმე მისი გულისთვის“ (სელინჯერი, 2020:153).

ორიგინალში სიტყვებს აქვს ზოგადი ლექსიკური მნიშვნელობები, გ. ჭუმბურიძის თარგმანში კი ფრაზეოლოგიზმებად არის თარგმნილი:

“I don’t **much like** to see old guys” (Salinger, 2003:9).

„ავადმყოფების მონახულება ისედაც არ **მეხატება გულზე**“ (სელინჯერი, 2006:12).

ახატია – ხატია, დახატულია რამეზე (ქეგლ; გვ.

54). დახატა – კარგად გააკეთა; სხვა პირისთვის სასურველი რამ მოიმოქმედა (ქელ, 2005:61).

ვ. ქელიძეს თარგმანი, ეკვივალენტურად ანაცვლებს, სტილისტურად განსხვავდება: „ავადმყოფების ნახვაზე მაინცდამაინც არ **კაახგავ ქკუას**“ (სელინჯერი, 2020:14).

გულზე არ მახატია ანუ არ მოსწონს, არ უყვარს: „My mother **didn't like** her too much“ (Salinger, 2003:79).

„დედაჩემს კიდე **გულზე ახ ეხატებოდა** მაინცდამაინც“ (სელინჯერი, 2006:110).

გულზე დახატავს – მოსწონს, უყვარს. თარგმანი შინაარსობრივად დედნის ადეკვატურია და სლენგის გამოყენებით ფრაზას შეძენილი აქვს ემოციურობა.

შედარება ვ. ქელიძის თარგმანთან: „დედაჩემს მაინცდამაინც **ახ მოსდიოდა თვალში**“ (სელინჯერი, 2020:114).

იდიომური გამონათქვამი თარგმნილია სასაუბრო მეტყველებაში გამოყენებული სიტყვებით:

„Get the ax“ აქვს „გათავისუფლების“ მნიშვნელობა. (<https://idioms.thefreedictionary.com/get+the+ax>) ჰოლდენ კოლიფილდი, სკოლიდან გარიცხვამდე, რამდენჯერმე გააფრთხილეს, თუმცა მას არ გამოუსწორებია აკადემიური მოსწრება.

„But I didn't do it. So I **got the ax**. They give guys the ax quite frequently at Pencey. It has a very good academic rating, Pencey“ (Salinger, 2003:6).

„მაგრამ რა გინდა რა - ფეხებზე დავიკიდე და გულზეც მომეშვა. ოღონდ ეგ იყო, საბოლოოდ მაინც **გამომაპანლუხეს**. საზოგადოდ, გარიცხვები მეტად ხშირია პენსიში“ (სელინჯერი, 2006:7).

შედარება ვ. ქელიძის თარგმანთან: „მაგრამ ყურშიაც არ შემიშვია მათი ჩიჩინი. ადგნენ და **გამომაპანლუხეს**. პანტაპუნტით რიცხავდნენ ბავშვებს“ (სელინჯერი, 2020:9).

„That's another reason why I hated like hell for her to know I **got the ax** again“ (Salinger, 2003:108).

„კიდე ამიტომაც არ მინდოდა ცოდნოდა, ისევ რო **გამომაპანლუხეს** სკოლიდან“ (სელინჯერი, 2006:151).

ვ. ქელიძეს სინომური ვარიანტით აქვს თარგმნილი: „ამიტომაცაა, რომ ჭირის დღესავით მეზარება შინ **გამოპანჩუხებული** დაბრუნება“ (სელინჯერი, 2020:154).

გააპანლურებს - (საუბ). პანლურის კვრით გააგდება (ქეგლ, 1986:70).

„She meant why did I **get the ax** again“ (Salinger, 2003:168).

„ანუ, რატო **გამოგაგვეხო**“ (სელინჯერი, 2006:231).

შედარება ვ. ქელიძის თარგმანთან: „ვითომ, ისევ რატომ **გამოგჩიხებო**“ (სელინჯერი, 2020:238).

მხატვრული ტექსტის თარგმნისას მთარგმნელი იყენებს ანტონიმურ თარგმანს, რაც ნიშნავს, რომ დედანში არსებული უარყოფითი ფორმა, თარგმანში მტკიცებითი ფორმით არის გადმოცემული:

„Only, I **wasn't watching** the game too much. What I was really hanging around for, I was trying to feel some kind of a good-by“ (Salinger, 2003:6).

„ისე, ცოდვა გამხელილი სჯობია და თამაში სულ **ქინძზე მკიდა**, უფრო რაღაც გამომშვიდობების ამბავში ავბლავუნდი იქ“ (სელინჯერი, 2006:8).

ქინძზე მკიდა - არ მაინტერესებს, არ ვნაღვლობ, ჩემთვის სულერათია. იგივეა, რაც „ფეხებზე მკიდა“ (ქელ, 2005:130).

ვ. ქელიძის თარგმანში კი უარყოფითი ფორმით არის გადმოცემული: „მაგრამ თამაშის **ცქეხითავს მაინცდამაინც ახ ვიწუხებდი**. უფრო იმიტომ ვიდექი, რომ სკოლასთან გამომშვიდობების გრძნობა განმეცადა“ (სელინჯერი, 2020:9).

„**She wasn't listening**, though. So I ignored her for a while. We just danced“ (Salinger, 2003:73).

„თქვენ არ მომიკვდეთ, სულ **ქინძზე ეკიდა**. მოვკეტე და მარტო ცეკვაზე გადავიტანე მთელი ყურადღება“ (სელინჯერი, 2006:101).

შედარება ვ. ქელიძის თარგმანთან: „საქმეში ხართ? - **მაინც ახ მიგებდა ყუხს**. მეც გავჩუმდი. უხმოდ ვუსვამდი ფეხს“ (სელინჯერი, 2020:104).

„I **didn't much want** to see it, but I knew old Sally, the queen of the phonies, would start drooling all over the place when I told her I had tickets for that, because the Lunts were in it and all“ (Salinger, 2003:118).

„მე სულ **ქინძზე მკიდა**, ოღონდ ვიცოდი, სალი დაეცემოდა როცა გაიგებდა-ლანტები გამოვლენო“ (სელინჯერი, 2006:163).

შედარება ვ. ქელიძის თარგმანთან: „**დიდაც ახ ამომდიოდა მზე** ამ პიესაზე, მაგრამ სალის ამბავი ვიცოდი, ის ხომ მანჭვა-გრეხის დედოფალია - როგორც კი გაიგებდა, რაზე ავიღე ბილეთები, სულ ნერწყვი მოადგებოდა, რადგან ამ სპექტაკლში ლანტები მონაწილეობდნენ“ (სელინჯერი, 2020:167).

დედანში არსებული მტკიცებითი ფორმა თარგმანში უარყოფითი ფორმით არის თარგმნილი:

„I **damn near dropped dead** when he asked me, I was so surprised and all“ (Salinger, 2003:172).

„**ყუხებს ახ ღავუჯეჟე**, რო მითხრა. მაგრა გამიკვირდა“ (სელინჯერი, 2006:235).

შედარება ვ. ქელიძის თარგმანთან: „**ღამის იქვე მოვკვდი**, ისე სახტად დავრჩი...“ (სელინჯერი, 2020:243).

ეკვივალენტური თარგმნის მეთოდი არის გამოყენებული ქვემოთ მოყვანილი იდიომის თარგმნისას, „Have the guts“ - ითარგმნება როგორც გამბედაობის ქონა (<https://www.dictionary.com/browse/have-the-guts>).

„Only, I wouldn't **have the guts** to do it“ (Salinger, 2003:90).

„ოღონდ მაგის **გამკეთებელი** არ ვიყავი“ (სელინჯერი, 2006:125).

შედარება ვ. ქელიძის თარგმანთან: „მაგრამ ვაჟკაცობა **ახ მყოფნის**“ (სელინჯერი, 2020:129).

მეორე ამონარიდშიც იმავე ლექსებით აქვს თარგმნილი:

“But I knew, too, I wouldn’t **have the guts** to do it” (Salinger, 2003:201).

„ოღონდ ისიც ვიცოდი, არაფერი მაგის მსგავსის **გამკეთებელი** მე არ ვიყავი“ (სელინჯერი, 2006:275).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ **საამისოვ ვაჟკაცობა ახ მეყოფოდა**“ (სელინჯერი, 2020:184).

ფრაზეოლოგიზმი Knock-out - ითარგმნება: განცვიფრება, გაოცება (იქლ, 2003:504). ჰოლდენ კოლფილდი იხსენებს ჯეინ გელეხერს, რომელიც მეინში მის მეზობლად ცხოვრობდა. ოჯახის წევრების გარდა ჯეინი ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ჰოლდენ კოლფილდმა თავისი ძმის, ელის ბეისბოლის თათმანი აჩვენა მთელი იმ წარწერილი ლექსებით. ჰოლდენ კოლფილდი ჯეინს შემდეგნაირად ახასიათებს:

“She was a funny girl, old Jane. I wouldn’t exactly describe her as strictly beautiful. She **knocked me out**, though. She was sort of muckle-mouthed. I mean when she was talking and she got excited about something, her mouth sort of went in about fifty directions, her lips and all” (Salinger, 2003:78).

Knocked me out - იგულისხმება ძლიერი მოწონება, თარგმანში კი გამოყენებულია სლენგი „დაიცენტრა“, რომელიც ჟარგონის ლექსიკონში განმარტებულია: გაგიჟდა (აგრეთვე გადატანითი მნიშვნელობით. თითქოს ცენტრალური ნერვული სისტემა დაუზიანდა) (ქჟლ, 2005:56).

თარგმანში ვკითხულობთ: „ისე, უნდა გითხრათ, დიდი უცნაური ვინმე კი იყო, ნამდვილად. ლამაზი, ვერ იტყოდი, ოღონდ მე კი **დამცენტრა** და... როცა რამე თავისთვის საინტერესოზე ლაპარაკობდა, ტუჩები სულ აქეთ-იქით დაუდიოდა“ (სელინჯერი, 2006:109).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „დიდი სასაცილო ვინმე იყო ეს ჯეინი. ვერ ვიტყვი, ძალიან ლამაზია-მეთქი, მაგრამ მე **ჭკუას ვკაჩავდი**. ჰოი, რამოდენა პირი ჰქონდა! ლაპარაკს რომ დაიწყებდა, ან რამეზე აღელდებოდა, ტუჩები უთრთოდა და უკანკალებდა (სელინჯერი, 2020:113).

ერთ ეპიზოდში ჰოლდენ კოლფილდმა იმდენჯერ მიაყენა შეურაცხყოფა სტრედლეიტერს, სანამ არ დაარტყა და ცხვირი არ დაუსისხლიანა.

“Then he really let one go at me, and the next thing I knew I was on the goddam floor again. I don’t remember if he **knocked me out** or not, but I don’t think so. It’s pretty hard to **knock a guy out**, except in the goddam movies” (Salinger, 2003:46).

ამ ამონარიდში აქვს განსხვავებული სემანტიკა, კერძოდ: უგონო მდგომარეობამდე მიყვანა ფიზიკური დარტყმის შედეგად (<https://idioms.thefreedictionary.com/knock+out>).

თარგმანში ვკითხულობთ: „აი აქ კი ისეთი დამიქანავა, ისევ იატაკზე გავწექი. არ მახსოვს, **გამთიშა**

თუ რა იყო, ოღონდ არა მგონია – ეგ კინოებშია, ერთი დარტყმით რო **თიშავენ** ერთმანეთს. სისხლი კი ბლომად გადმოივიდა ცხვირიდან.“ (სელინჯერი, 2006:65).

შედარება ვ. ჭელიძის თარგმანთან: „ამან მთლად შეშალა. მეტაკა და მერე, მახსოვს, ისევ იატაკზე აღმოვჩნდი. ისიც ველარ მომიგონებია – **გძნობა დავკაჩე** თუ არა. მგონი, არ დამიკარგავს. არცთუ ისე ადვილია, კაცს ერთი შემოკვრით **გძნობა დააკაჩვინო**. ეს მარტო კინოებში იცინა“ (სელინჯერი, 2020:66).

გაითიშა — გრძნობა (გონება) დაკარგა (ქჟლ, 2005:35).

როგორც ვხედავთ, მეტყველებასთან ერთად სლენგი მუდმივად ვითარდება და იცვლება. ახალგაზრდული სლენგის მთავარი მახასიათებელია: ემოცია და ექსპრესიულობა, რაც ფრაზეოლოგიზმებშიც კარგად ჩანს. ფრაზეოლოგიზმები ითარგმნება როგორც ფრაზეოლოგიზმები, ზოგჯერ კიდევ ნეიტრალური ლექსიკით არის გადმოცემული.

დასკვნები

ნებისმიერი ენის ლექსიკარეაგირებს ყველა იმ მოვლენაზე, რომლებიც ჩვენ ირგვლივ ხდება. თანამედროვე პროზის ენა ავლენს გარკვეულ ტენდენციებს ახალგაზრდების მეტყველებაში. განსაკუთრებით ეხება ეს ლექსიკას, გვხვდება სლენგი, ჟარგონიზმები და ვულგარიზმები.

პერსონაჟები სლენგსა და ჟარგონიზმებს უფრო ხშირად იყენებენ სათქმელის ექსპრესიისა და სიტყვის ემოციური ელფერის გასაძლიერებლად.

მათი თარგმანი კი რჩება ერთ-ერთ საკამათო საკითხად, რადგან არ არსებობს გარკვეული წესები. ვფიქრობთ, მთარგმნელმა უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები და აირჩიოს თარგმანის ყველაზე შესაფერისი სტრატეგია. ძირითადად გამოყენებულია: პირდაპირი თარგმანი, დარბილება, გამოტოვება და კულტურული ეკვივალენტი.

ვ. ჭელიძისეულ თარგმანთან შედარებით გ. ჭუმბურიძის თარგმანი უფრო დაახლოებულია ახალგაზრდების სასაუბრო ენას და მეტ-ნაკლებად თავისუფალია ევფემიზმებისაგან.

ორიგინალი ენის ერთი და იგივე ჟარგონული გამონათქვამი თარგმანის ენაში გავრცელებული სინონიმური მნიშვნელობის სლენგითაა ჩანაცვლებული: მაგალითად: **Get thehell out** - ნათარგმნია როგორც „**ათესვა**“ და „**დაგაზვა**“.

რიგ შემთხვევებში მთარგმნელი ავლენს საპირისპირო ტენდენციას და თარგმანში როგორც სლენგი ისე არის გამოყენებული, თუმცა დედანში ჟარგონული მნიშვნელობა არ აქვს: **გაგიშანსო - asking me to write you... გავშანსე - I got the tickets**.

აღსანიშნავია, რომ ჟარგონიზმები განსაკუთრებული ემოციურ-ექსპრესიულობით ხასიათდება, ამიტომ ხშირია სინონიმია.

არსებობს გარკვეული ჟარგონული სიტყვები და ფრაზები, რომლებსაც სამიზნე ენაში არ აქვთ ზუსტი ჟარგონული ეკვივალენტი და თარგმანის ენაში კომპენსირებულია სასაუბრო სიტყვებით.

ვულგარიზმები თარგმნილია შერბილების მეთოდით, თუმცა სინონიმური თარგმანის მაგალითებიც დასტურდება.

მხატვრული ეფექტის გასაძლიერებლად შექმნილია სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა თარგმნისას ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია ეკვივალენტური და ანტონიმური თარგმანის მეთოდები.

თანამედროვე პროზის ენა ადასტურებს, რომ სლენგი და ჟარგონიზმები სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებს ახალგაზრდების მეტყველებაში და, აქედან გამომდინარე, შედის ლიტერატურულ ნაწარმოებებში, როგორც პერსონაჟთა დამახასიათებელი.

ლიტერატურა

- გაბუნია, თ. (2014).** ჯერომ სელინჯერი - ნამდვილი ბრძოლა, თბ., 2014.
- თაყაიშვილი, ა. (1961).** ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961.
- ლომთაძე, თ. (2010).** თანამედროვე ქართული სოციოლექტი, თბ., 2010.
- მიქაძე, ლ. (2016).** ფრაზეოლოგიზმები, იდიომატური სიტყვანარმოება და არანორმატიული ლექსიკა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში: ფილოლოგიური პარალელები, #8. თბ., 2016.
- საყვარელიძე, ნ. (2001).** თარგმანის თეორიის საკითხები, თბილისი.
- სელინჯერი, ჯ. (2006).** კლდის პირზე ჭვავის ყანაში, თბ, 2006 (მთარგმნელი გია ჭუმბურიძე).
- სელინჯერი, ჯ. (2020).** თამაში ჭვავის ყანაში, თბ, 2020 (მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე).
- ღლონტი, ალ. (1988).** ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი.
- ხვითარია, ლ. (1970).** ჯერომ დევიდ სელინჯერი, თბილისი.
- Aiman.A.** "Catcher in the Rye by J.D. Salinger – Review." The Guardian, Guardian News and Media, 21 June 2012, www.theguardian.com/books/2012/jun/21/review-salinger-catcher-rye.
- Salinger, J.D. (2003).** The Catcher in the Rye, Antology.

ლექსიკონები

- თეზელიშვილი, ს. (2007)** უცხო სიტყვათა ლექსიკონი, (სოლომონ ბიჭი) თეზელიშვილი, რედ. გურამ აბსანძე, თბილისი.
- ბრეგაძე, ლ. (2005).** ქართული ჟარგონის ლექსიკონი, თბილისი.
- გვარჯალაძე, თ., და გვარჯალაძე, ი. (2003).** ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული). (1986).** თბილისი.
- Collins English Dictionary.** <https://www.collinsdictionary.com/>
- John, A. (1999).** Oxford Dictionary of Slang , Oxford University Press

ონლაინწყაროები

- <https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/books/98/09/13/specials/salinger-rye02.html>;
- <http://www.ueji.ne.jp/jd/reviews/monitor.html>;
- <https://www.translate.ge>;
- <https://idioms.thefreedictionary.com/>